

მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციის

დ ე ბ ჟ ლ ე ბ ა

მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებით კონფერენციას ყოველწლიურად ატარებს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიასთან ერთად.

კონფერენციის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდთა შესაძლებლობების, ნიჭისა და უნარების მაქსიმალურ გამოვლენა-განვითარებას.

კონფერენციაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ყველა სახის საჯარო, სრული და არასრული საშუალო სკოლების, გიმნაზიების, კოლეჯების VIII-XII კლასების მოსწავლეებს, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლების, სასახლეებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა წრის წევრებს.

მოსწავლეთა საწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია ტარდება 3 ეტაპად:

I სასკოლო – დეკემბერი;

II სარაიონო /საქალაქო/ -იანვარი. მის ჩატარებას ხელმძღვანელობენ მოსწავლეთა რაიონული /საქალაქო/ სახლები /სასახლეები/ ან რაიონული /საქალაქო/ რესურსცენტრები (შეთანხმების საფუძველზე);

III დასკვნითი – აპრილი-მაისი.

კონფერენციის სასკოლო ეტაპზე (დეკემბერი) მონაწილეობის უფლება ეძლევა ყველა დაინტერესებულ მოსწავლეს. ნაშრომის დაცვა მოხდება შიდა სასკოლო კონფერენციაზე.

კონფერენციის მეორე-სარაიონო /საქალაქო/ ეტაპზე მოწონებული ნაშრომები სათანადო წარდგინებით გადაიგზვნება მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში 2 8 თ ე ბ ჟ ლ ე ბ ა მ დ ე (თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 6, თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე ტელ: 99 75 06)

თითოეულ სექციაზე შეიძლება წარმოდგენილი იქნეს 8-10 ნაშრომი.

კონფერენციის მესამე, დასკვნით ეტაპზე (აპრილი-მაისი) საუკეთესო ნაშრომების ავტორები გამოდახებულნი იქნებიან თბილისში მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში დასკვნითი სექციური სხდომების მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად.

მოსწავლეები საჯაროდ დაიცავენ ნაშრომებს, გამარჯვებული ბავშვები დაჯილდოვდებიან მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის I ხარისხის დიპლომით.

მეცნიერებათა აკადემიის სიგელით დაჯილდოვდებიან ის მოსწავლეები, რომლებიც წლების მანძილზე ერთ სექციაზე იმარჯვებენ დასკვნით ტურებში და რომელთა ნაშრომები გამოირჩევიან კვლევითი, შემუცნებითი, გამოყენებითი ხასიათით, პრობლემების აქტუალურობით, მისი გადაჭრის სავარაუდო გზების განხილვა-ანალიზით.

თუ გამოძახებულმა მოსწავლემ ვერ შეძლო სექციურ სხდომაზე ნაშრომის დაცვა, სექციის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე მას გადაეცემა II ხარისხის დიპლომა ან სიგელი.

დასაშვებია ნაშრომის წარმოდგენა ავტორთა ჯგუფის მიერ(არა უმეტეს სამისა).

ნაშრომის დაცვის გარეშე გაეგზავნებათ ჯილდოები იმ მოსწავლეებს, რომლებიც სასახლის II ხარისხის დიპლომებითა და სიგელით იქნებიან დაჯილდოებულნი. ის პედაგოგები, რომლებიც სისტემატურად მონაწილეობდნენ კონფერენციის მუშაობაში და რომელთა ორი ან მეტი მოსწავლე ერთ სექციაზე დაიმსახურებს I ხარისხის დიპლომს (ან პედაგოგები, რომელთა მოსწავლეებმა ერთ სექციაზე წარმოადგინეს 5 ან მეტი ნაშრომი და რომლითაც დაიმსახურებს II ხარისხის დიპლომა ან სიგელი) დაჯილდოვდებიან მადლობის ფურცლით.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს რვეულში ან თაბახზე. თემის საჭიროებიდან გამომდინარე შეიძლება ერთვოდეს საილუსტრაციო და თვალსაჩინო მასალა.

აუცილებელია დაინომროს ნაშრომის გვერდები და დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის სრული ჩამონათვალი, მითითებული უნდა იყოს წყაროები, სქოლიო.

მოსწავლე თავისუფალია თემის, არჩევაში. შეუძლია იმსჯელოს ნებისმიერი მწერლის, მეცნიერის, საზოგადო მოღვაწის საქმიანობასა და მიღწევაზე, ხელოვნების ნიმუშზე.

მთავარია ნაშრომმა გამოავლინოს საპუთრივ მოსწავლისეული პოზიცია და დამოკიდებულება შერჩეული საკითხისადმი, კრიტიკული, შემოქმედებითი აზროვნება, დამხმარე სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენების უნარი. საგალდებულოა სამეცნიერო თუ მხატვრულ-პუბლიცისტური და საცნობარო ლიტერატურიდან, ამონარიდებიდან პირველწელისა და ავტორის მითითება. ნაშრომის თავფურცელი გაფორმდება ქართულ ენაზე. (მოსწავლის სახელი, გვარი, მისამართი (რაიონი, ქალაქი, სოფელი) სკოლა, კლასი, თემის ხელმძღვანელი, სექციის დასახელება).

მოსწავლეს უფლება აქვს საკონფერენციო ნაშრომი წარმოადგინოს არა უმეტეს 3 (სამი) სექციისა.

კონკრეტული სექციისთვის განსაზღვრული ნაშრომების ჩამონათვალი გაფორმდეს სპეციალური ფორმის—განაცხადის მიხედვით (იხ. დანართი 1).

მოსწავლეთა სასწავლო შემოქმედებით კონფერენციაზე მუშაობს შემდეგი სექციები: ქართული ენა, ქართული ლიტერატურა, ფოლკლორი, შემოქმედ მოსწავლეთა, უცხო ენები, მათემატიკა, ინფორმატიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, ბავშვთა უფლებების დაცვა, სამართალმცოდნეობა, ჟურნალისტიკა, ფსიქოლოგია, საქართველოს ისტორია, ეთნოგრაფია, კინო-ფოტო, ეკოლოგია-ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, ასტრონომია, რადიოელექტრონიკა, საინჟინრო გრაფიკა და არქიტექტურა, გეოგრაფია—გეოლოგია, ტურიზმი და მთასვლელობა, ხელოვნებათმცოდნეობა.

მოთხოვნები საკონფერენციო ნაშრომისადმი

ქართული ენის სექცია

სექციაზე წარმოდგენილ ნაშრომთა ავტორებს, უპირველესად, მოეთხოვებათ გრამატიკული ნორმების ცოდნა. თემაში არ უნდა შეინიშნებოდეს სინტაქსურ-მორფოლოგიური, სტილისტურ-ორთოგრაფიული, პუნქტუაციური თუ სხვა სახის შეცდომები.

ავტორებს შეუძლიათ დააკვირდნენ, შეისწავლონ ნებისმიერი კლასიკოსი თუ თანამედროვე მწერლის ენა, დიალექტური მეტყველება, ლექსიკა; ასევე მწერლისეული აზრის გამოხატვის ენობრივ-სტილისტური საშუალებების გამოყენება ნაწარმოებში.

ძალზე საჭირო და დროულია ონლაინიკური მასალის მოძიება – ტოპონიმები იქნება ეს თუ ანთროპონიმები. მოსწავლემ უნდა შეისწავლოს სამიწათმოქმედო აღილთა, მატერიალური კულტურისა და ბუნების ძეგლთა სახელები, პიდრონომიკური სახელწოდებები. ამა თუ იმ ქალაქისა და სოფლის მცხოვრებთა საკუთარი სახელები, გვარები, მეტსახელები, ასევე ზოონიმები, ანუ ცხოველთა სახელები და ა. შ.

სასურველია, თემის ავტორები დააკვირდნენ თანაქალაქელთა, თანასოფლელთა საუბარს, შეარჩიონ და გაანალიზონ ის ლექსიკური ერთეულები, რომელიც მხოლოდ

მათი კუთხის მცხოვრებთა მეტყველებისთვისაა დამახასიათებელი, შეაჯერონ სალიტერატურო ქართულ ენასთან.

მასალის ჩაწერისას უნდა აღინიშნოს ადგილის სრული სახელი, ძველი სახელწოდებაც. თითოეულ ერთეულს (სახელს) გაუკეთდეს გრამატიკულენოვანი ანალიზი.

ქართული ლიტერატურის სექცია

ნაშრომმა უნდა გამოავლინოს მოსწავლის მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება—დამუშავების, შემოქმედებითი ანალიზისა და დასკვნის გამოტანის უნარი. გვიჩვენოს, რამდენად ძალუძს მწერლის შემოქმედების გააზრება სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების გათვალისწინებით. წარმოაჩინოს ნაწარმოებში ასახული პოზიციის, პრობლემატიკის, ფასეულობების მიმართ საკუთარი დამოკიდებულება, ქართული და მსოფლიო ლიტერატურის პროცესებისა და თემების ურთიერთკავშირი, შედარებითი ანალიზი, დამსმარე ლიტერატურის შემოქმედებითად გამოყენების უნარი, მსჯელობის ორიგინალურობა, ლოგიკური თანმიმდევრობა და ა. შ.

ფოლკლორის სექცია

ავტორებმა უნდა წარმოადგინონ:

1. ხალხური სიტყვიერების ნიმუში: აკვნის> საბავშვო ლექს-სიმღერა, ამბავი, ანბანთქება, ანდაზა, ანდრეზი> გადმოცემა, ანეკდოტი, არაკი, აფორიზმი, ბალადა, ბრძნული გამონათქამი, გაბაასება, გათვლა> საბავშვო, გაკაფიავება, გალექსება, გამოცანა, გაშაირება, ენის გასატეხი> საბავშვო, ეპიტაფია, ზღაპარი, თქმულება, ლეგენდა, მახვილსიტყვაობა (ყბისაქცევი, იუმორი), მითოლოგიური გადმოცემა, შრომის—გუთნური, მოსავლის ადება, მწყემსური, ნადური, სავენახო ლექს-სიმღერები, სამეურნეო და სამკურნალო შეღოცვები, სიზმრის ახსნა, საწესჩვეულებო > ამინდის > დალოცვა > საქორწინო > საძეობო > ნაქადაგარი > ტაბუ > სადიდებელი > ფული > წყევლა > ხმით ნატირალი > შესანდობარი > კალენდარული (ახალი წელი, შობა, აღდგომა და

- ა. შ.), საფერხულო – წეს-ჩვეულებასთან, რიტუალთან დაკავშირებული ზეპირსიტყვიერი ტექსტი, ცოცხალი ტყუილი > საბავშვო, ხალხური თამაშები.
2. ამა თუ იმ მწერლის შემოქმედებაში ხალხური სიტყვიერების ნიმუშთა გამოყენების ანალიზი.

ფოლკლორული მასალა უნდა ჩაიწეროს მთქმელის მეტყველების თავისებურების დაცვით, ლიტერატურული შესწორების გარეშე. ჩაწერილ მასალას მიეწეროს მთქმელის ვინაობა (სახელი, გვარი, მეტსახელი, ასაკი, საქმიანობა, დაბადების ადგილი-რაიონი, დაბა, სოფელი, ქალაქი, ჩაწერის დრო).

შემოქმედ მოსწავლეთა სექცია

საკუთარი შემოქმედება – ესთეტიკური ღირებულების ნებისმიერი ნიმუში: ლექსი, მოთხოვის, ნოველლა, ჩანახატი, ლიტერატურული პორტრეტი, ესკიზი, მინიატურები, ეტიუდი, პიესა, სცენარი, ზღაპარი, იგავ-არაკი, ფანტასტიკური თხზულება, ნარკვევი, დრიური მხატვრული სახით, მხატვრული თარგმანი, კრიტიკული წერილი (მწერლის შემოქმედების, მისი თხზულების ანალიზი და ა. შ.)

ავტორმა შეფასებისათვის უნდა გამოაგზავნოს პოეზიის ნიმუში, არანაკლებ 5 (ხუთი) ლექსისა, პროზის მოცულობა კი არ უნდა აღემატებოდეს 10-15 (ათ-თხუთმეტ) გვერდს.

ნაშრომები უნდა იყოს წარმოდგენილი სადად, გარკვეული ხელნაწერით, ზედმეტი გაფორმების (მხატვრულად მოხაზული შრიფტის) გარეშე. დასაშვებია კომპიუტერული წყობით.

უცხო ენების სექცია

ნაშრომმა უნდა გამოვლინოს უცხო ენების ფლობის და მოხმარების დონე, ნებისმიერი ხასიათის უცხოენოვანი ტექსტის კონტექსტის გაგების, დამუშავების, გაანალიზების, საკუთარი აზრის, დამოკიდებულების უცხო ენაზე გადმოცემის, თანმიმდევრული თხრობის, აღწერის, აზრის დასაბუთების, მშობლიური ლიტერატურის ნიმუშთან თუ გარემოსთან (დღესასწაულები, ზნე-ჩვეულებები,

რიტუალები) პარალელების, მსგავსება-განსხვავებათა და თავისებურებების ანალიზის უნარი.

ნაშრომი შეიძლება ასახავდეს პიროვნულ განცდებს, გატაცებებს, შეხედულება-თვალსაზრისს ამა თუ იმ ფაქტსა და მოვლენასთან, საყვარელ პერსონაჟებთან, სპორტმენებთან, საკუთარ ქალაქთან, სკოლასთან დაკავშირებით.

ლიტერატურული თარგმანი შესრულებული უნდა იყოს ქართულიდან უცხო ენაზე (უპირატესობა მიენიჭება) ან პირიქით და ახლდეს პირველწერო. ამასთან, ყურადღება მიექცევა წერითი მეტყველების უნარ-ჩვევებს, გრამატიკული და ორთოგრაფიული თანამედროვე ენის დაცვას, ენობრივი მარაგის სიმდიდრეს, ტექსტის მოცულობისა და სირთულის დონის მოსწავლის ასაკთან შესაბამისობას.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს უცხო ენაზე, ხოლო თავფურცელი გაფორმდება აუცილებლად ქართულად.

მათემატიკის სექცია

სექციაზე წარმოსადგენ ნაშრომთა თემატიკა შეზღუდული არ არის, სასურველია, ნაშრომის თემა სცილდებოდეს სასკოლო პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგრამ არა იმდენად, რომ არ შეესაბამებოდეს მოსწავლის ასაკს.

შეფასებისას განსაკუთრებით წახალისდება კვლევითი ხასიათის ნაშრომები, რომლებშიც ავტორები შემოგვთავაზებენ მათემატიკურ ლიტერატურაში მოცემული მაგალითის, მეთოდის, იდეის არასტანდარტულ გადაწყვეტას.

რეფერატული ხასიათის ნაშრომის წარმოდგენა მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული, თუ ავტორი შემოქმედებითად იყენებს დამხმარე ლიტერატურეს და ავლენს შემეცნებითი საქმიანობისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს, წარმოდგენილ ნაშრომში მკაფიოდ უნდა იყოს გამოკვეთილი:

- პრობლემის დასმა (არჩეული საკითხის ირგვლივ დამუშავებული ლიტერატურის მიმოხილვა);
- ნაშრომის მიზანი;
- ნაშრომში გამოყენებული მათემატიკური მეთოდებისა და ხერხების აღწერა;
- დასმული პრობლემის გადაჭრა (პრაქტიკული მაგალითების ჩვენებით);

– დასკვნა (შედეგების ანალიზი).

ინფორმატიკის სექცია

სასურველია წარმოდგენილი იყოს მოსწავლის მიერ შესრულებული კომპიუტერული პროგრამა დაწერილი დაპროგრამების ერთ-ერთ ძირითად ენაზე. ავტორმა უნდა წარმოადგინოს დისკუსიური ჩატერილი პროგრამა (სრული ან საილუსტრაციო ვერსია) და ანოტაცია (წერილობითი ან ბეჭდური სახით). ანოტაციაში აღწერილი უნდა იყოს პროგრამის დანიშნულება, მიზანი, პრაქტიკული ღირებულება, პროგრამის შექმნისათვის გამოყენებული მეთოდებისა და ალგორითმების სრული აღწერა, პროგრამის მუშაობისათვის საჭირო რესურსების ჩამონათვალი.

შესაძლებელია თეორიული ხასიათის ნაშრომების წარმოდგენაც (სხვადასხვა ტიპის ამოცანების ამოხსნის ალგორითმები და მეთოდები, მათი შედარებითი ანალიზი და ა.შ.). ამ შემთხვევაშიც, ავტორმა, სასურველია წარმოადგინოს თეორიული დებულებების ეფექტურობის დამადასტურებელი კომპიუტერზე რეალიზებული პროგრამები.

საერთაშორისო ურთიერთობების სექცია

საქართველოს პოლიტიკურ-დიპლომატიური ურთიერთობები საზღვარგარეთის ქვეყნებთან (ისტორია და თანამედროვეობა). საქართველო და საერთაშორისო ორგანიზაციები, გამოჩენილი პოლიტიკოსები, ქართული ემიგრაცია, საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველები, საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, მსოფლიო პოლიტიკურ, ეკონომიკურ თუ კულტურულ სივრცეში საქართველოს ინტეგრირების ასპექტები და ა.შ.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

ბავშვთა უფლებების დაცვის სექცია

ნაშრომი უნდა შეიცავდეს მოსწავლის მსჯელობა-ანალიზს ბავშვის უფლებათა კონვენციის პრინციპების მიხედვით აღებული ვალდებულებების შესრულებას საქართველოში, აგრეთვე თანამედროვე პირობებში (ოჯახი, სკოლა, საზოგადოება). ბავშვთა უფლებების დაცვის პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით; მზრუნველობის მოკლებულ, მოხეტიალე, მიუსაფარი, გაოჯახებული ბავშვების ბედის შესახებ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოზარდებზე მზრუნველობის ფაქტებზე, გენდერულ პრობლემებზე, ბავშვთა ტრეფიკინგისა და XXI საუკუნის მომაკვდინებელი სენის ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდებზე.

თემაში უნდა გამოიკვეთოს პირადი და საზოგადოებრივი ინტერესების თანხვედრა, საკუთარი და სხვა კულტურების და მათი წარმომადგენლების მიმართ პატივისცემა, შემწყნარებლობა, ტოლერანტობა. ღირსების შელახვის, უსამართლობის თუ ურთიერთპატივისცემის უგულებელყოფით გამოწვეული კონფლიქტური სიტუაციები, ძალადობის ფაქტები თანატოლებთან თუ უფროსებთან; საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერება მოქალაქეობრივი პოზიციიდან, პასუხისმგებლობა ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე, ადამიანის არსებითი უფლებების შესახებ შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის განხორციელებისა და ამ პრინციპებით ცხოვრების აუცილებლობა.

სამართალმცოდნეობის სექცია

ნაშრომში აისახება ისტორიული და თანამედროვე (რეალური) მასალების შედარებითი ანალიზი, ლიტერატურული მასალებიდან მორალური და სამართლებრივი ნორმების გამოკვეთა, მათი შეფასება; მოზარდის თვალით დანახული დანაშაულებრივი ქმედებები (რას თვლიან დანაშაულად და რატომ?), ჩადენილი დანაშაულის მიზეზებისა და მათი აღმოფხვრის გზების ძიება, მოსწავლის არგუმენტირებული შეხედულებები ცალკეულ იურიდიულ მნიშვნელობაზე; დაკვირვება ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე და პიროვნული დამოკიდებულება მათ მიმართ; არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიება; მოსწავლის მოქალაქეობრივი, დამოუკიდებელი და შემოქმედებითი აზროვნების, ცოდნის მოძიებისა და მისი გამოყენების უნარი.

ფსიქოლოგიის და ფილოსოფიის სექცია

ფსიქოლოგია და ფილოსოფია არ ისწავლება სკოლაში. მიუხედავად ამისა ინტერესი ჩვენი სექციის მიმართ იზრდება. საქციაში უნდა იყოს წარმოდგენილი, როგორც რეფერატული, ისე ექსპერიმენტული ნაშრომი. რა თქმა უნდა უპირატესობას ვანიჭებთ ავტორის მიერ ჩატარებულ ექსპერიმენტს.

რეფერატული ნაშრომის თემატიკა განუსაზღვრელია. მთავარია იგი ეხებოდეს ფსიქოლოგიურ საკითხს და ჩანდეს ავტორის გააზრებული პოზიცია.

ექსპერიმენტული ნაშრომის შემთხვევაში სასურველია შესავალში წარმოდგენილი იყოს რეფერატი თემის გარშემო, რათა ავტორმა გვიჩვენოს, რომ იმუშავა საკითხთან დაკავშირებულ ლიტერატურაზე. დაწვრილებით წარმოადგინოს მეთოდიკა, რის მიხედვითაც ჩაატარა ექსპერიმენტი. მიღებული შედეგები აისახოს შესაბამის ცხრილებსა და დიაგრამებში. სასურველია მითითებული იყოს გამოყენებული ლიტერატურა.

საქართველოს ისტორიის სექცია

მოცემული სექციისთვის გამიზნულ ნაშრომებში დასაშვებია აისახოს შემდეგი თემატიკა:

- საქართველოს (ან მისი ტრადიციული მხარეებისა და დასახლებული პუნქტების) ისტორიის საკითხები უძველესი დროიდან დღემდე.
- ქართველი და სხვა ხალხების ტრადიციული ურთიერთობების ისტორია.
- ისტორიულ-ხუროთმოძღვრული და არქეოლოგიური ძეგლები, მათი მოვლა-პატრონობის პრობლემები.
- ქვეყნის წარსულიდან დაკავშირებული ისტორიულ-წერილობითი ძეგლები (ადგილობრივი თუ უცხოური).
- ადგილებზე არსებული ისტორიულ-მხარეთმცოდნეობითი მუზეუმების (ან სხვა სახის უჯრედების) საქმიანობა.
- გამოჩენილ საერო და სასულიერო პირთა ცხოვრება-მოღვაწეობა.

მოსწავლეთა ნაშრომებში უნდა ჩანდეს ავტორთა პოზიცია შესასწავლი საკითხების მიმართ. ყურადღება უნდა მიექცეს ნაშრომის როგორც შინაარსობრივ, ისე ტექნიკურად გამართულობის საკითხს (ნაშრომს უნდა ჰქონდეს შესავალი ნაწილი და დასკვნა, სქოლიო და გამოყენებული ლიტერატურის სია, ხოლო საჭიროების შემთხვევაში თვალსაჩინოების მასალაც). ინგერნეტსაიტებიდან გადმობეჭდილი ან დაქსეროქსებული ტექსტის მქონე ნაშრომების შეფასება არ მოხდება. სავალდებულოა, რომ წარმოდგენილი ნაშრომები შესრულებული იყოს საქართველოს სახელმწიფო ენაზე.

ეთნოგრაფიის სექცია

კონფერენციაში მონაწილეობის მსურველმა მოზარდებმა ნაშრომებში ყურადღება უნდა გაამახვილონ მშობლიური ქვეყნის, მხარის, ქალაქის, სოფლის, დაბის მკვიდრთა ძველი და ახალი ყოფის საკითხებზე: ხალხურ ზნე-ჩვეულებებზე, დასახლების ტიპებსა და ნაგებობათა სახეობებზე (ეზო-კარმიდამო, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები და ა. შ.) ხალხური შინამრეწველობის ტრადიციებზე და ადგილობრივ მოქმედ კერებზე (მეთურნეობა, ქვის, ხის, ლითონის, ძვლის, ტყავის ქსოვილის, მატყლის, სელის, ნაბდის, თექის დამუშავება, ფეიქრობა, ქარგვა და სხვა) იმსჯელონ ქართველი და კაგკასიელი ხალხების ეთნოგრაფიული შეხვედრების (პარალელების) ამსახველ მასალაზე.

მოსწავლეებმა უნდა აღნუსხონ და გამოამზეურონ ადგილზე დაცული თქმულება-გადმოცემები და ლეგენდები, რომელ შიცშესაძლოა არეკლილი იყოს წარსულის ეთნოგრაფიული რეალიები. ფოლკლორული მასალის დამოწმება ნაშრომში მიზანშეწონილია იმ შემთხვევაში, თუკი მას ეთნოგრაფიული შეფასება ახლავს თან. სხვა შემთხვევაში წარმოდგენილი ნაშრომი არ განიხილება.

ეკოლოგიისა და გარემოს დაცვითი საქმიანობის სექცია

საკითხები ბიოლოგიურ მეცნიერებათა დარგებიდან, ბუნების დაცვის მეცნიერული საფუძვლები და ეთნოგრაფიული ტრადიციები; ბიომრავალფეროვნების,

ბუნებრივი ძეგლების ნაკრძალების და სხვა ლანდშაფტების შესწავლა, ბიოტექნოლოგიის საფუძვლები, ადგილობრივი “წითელი წიგნის” და “წითელი ნუსხის” შედგენა.

– საკითხები მედიცინის დარგებიდან (ციტოლოგია, გირუსოლოგია, ანატომია-ფიზიოლოგია და ა. შ).

– საქართველოს ეკოსისტემები, ბიოცენოზი, მცენარეთა და ცხოველთა ეკოლოგიური ჯგუფები, ანთროპენური ფაქტორების გავლენა ბიომრავალფეროვნების დაქვეითებაზე, გარემოს დაბინძურების ფაქტორები და მათ მიერ გამოწვეული დაავადებანი. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის აქტუალური პრობლემები. გარემოს დაცვითი და სოციალური საკითხების ინტეგრირება, კვლევითი და გამოყენებითი მიზნების ანალიზი.

სასურველია, ნაშრომი შეესაბამებოდეს მოსწავლის ადგილობრივი გარემოს

პრობლემებს (ქალაქი, სოფელი, მხარე) და საჭიროებას, (სანაპირო ზოლის, ტყის მასივის დაცვა-შენარჩუნება, რაციონალური გამოყენება, გარემოს ხარისხი, ჯანმრთელობა და ა. შ), ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის გზებსა და საშუალებებს.

საკითხები სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებიდან (ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო კულტურები და ინტროდეცირებული მცენარეები, ხეხილის, ვაზის, ხორბლის უძველესი ჯიშები – შესწავლა, დაცვა, აღდგენა, ბიომეურნეობები; სათფურის, ოთახის, ღია გრუნტის მცენარეები; ნიადაგები, მისი ეროზია და სხვა).

ნაშრომი უნდა ავლენდეს მოსწავლის დამოუკიდებელი, შემოქმედებითი საქმიანობის ჩვევებს, პრაქტიკული საქმიანობის (ცდის ექსპერიმენტის დაყენების) და მიღებული შედეგის ანალიზის უნარს.

ნაშრომს უნდა ახლდეს მოსწავლის მიერ შესრულებული სამუშაოს ამსახველი თვალსაჩინო მასალა: ფოტოები, სლაიდები, ტაბულა-დიაგრამები, ილუსტრაციები, ჩანახატები, სქემები, ჰერბარიუმები, ბუნებრივი მასალისაგან დამზადებული მხატვრული ნაკეთობები და სხვა.

ქიმიის სექცია

ნაშრომმა უნდა გამოავლინოს მოსწავლის ინტერესი სამეცნიერო საქმიანობასა და კვლევისადმი. იგი უნდა ასახავდეს თანამედროვე ქიმიის მიღწევებს, ავლენდეს

მოსწავლის დამოუკიდებელი აზროვნების უნარს. თეორიული მასალა დაკავშირებული უნდა იყოს პრაქტიკულ საქმიანობასთან, შეიცავდეს ჩატარებული ცდა-დაკვირვების, ექსპერიმენტის აღწერა-ანალიზს.

სექციაზე არ მიიღება თვითნაკეთი ხელსაწყო თანდართული რეფერატის გარეშე, რომელშიც უნდა აისახოს ხელსაწყოს შექმნის იდეა, მისი მიზანი და უპირატესობა სხვა ანალოგიურ ხელსაწყოსთან შედარებით (თუკი ასეთი ხელსაწყო არსებობდა). ნაკლებად დირებულია მხოლოდ ფაქტობრივი მასალით შემოფარგლული აღწერითი სასიათის ნაშრომი; უპირატესობა ენიჭება ნაშრომს, რომელიც შეიცავს მოსწავლის ორიგინალურ ხედვას, მსჯელობას თანამედროვე ქიმიაში მომხდარ ცვლილებებზე, სიახლეებზე, ქიმიის მნიშვნელობაზე სახალხო მეურნეობაში, ტექნიკაში, სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში, ყოფა-ცხოვრებაში და სხვა.

მოსწავლე ფიზიკის სექციაში მონაწილეობისას არ იზღუდება თემატიკით. ნებისმიერი ნაშრომი უნდა ავლენდეს მოსწავლის ინტერესს შემეცნებითი საქმიანობისა და მეცნიერული კვლევისადმი. მასში უნდა ჩანდეს მოსწავლის ცოდნა ფიზიკაში, დამოუკიდებელი აზროვნება, შემოქმედებითი მიდგომა საკითხისადმი, განხილული თემის შეძლებისდაგვარად ფიზიკის თვალთახედვით სიღრმისეული და საფუძვლიანი ანალიზი, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებების დარგში ფიზიკის საგნის ფუნდამენტალური მნიშვნელობა და მისი როლი სწორი მსოლმხედველობრივი ორიენტაციის ჩამოყალიბებაში.

ფიზიკის ისტორიისა და ბუნების დაცვის საკითხებზე წარმოდგენილი ნაშრომები არ უნდა იყოს მიმოხილვითი და ინფორმაციულ ხასიათს, რომელიც მხოლოდ ფაქტობრივ მასალას ეფუძნება.

ნაშრომში, თეორიულ მასალასთან ერთად, სასურველია აისახოს მოსწავლის მიერ შესრულებილი პრაქტიკული სამუშაო, წარმოებული დაკვირვება, სხვადასხვა გარემო ფაქტორების გათვალისწინებით ფიზიკურ სიდიდებს შორის კავშირის დამყარების მცდელობა და შესაბამისი ანალიტიკური დასკვნები.

კონფერენციაზე არ მიიღება თვითნაკეთი ხელსაწყო თემის გარეშე. მოსწავლე ვალდებულია მოგვაწოდოს რეფერატი, რომელშიც განხილული იქნება ხელსაწყოს შექმნის იდეა, მისი მიზანი, მოქმედების სქემა და ფიზიკური საფუძვლები.

ნაშრომი არ უნდა იყოს გადატვირთული “ზედმეტი თვალსაჩინო მასალით”. წარმოდგენილი ფოტოები, სურათები, ნახაზები, გრაფიკები, ფორმულები და ა.შ. უნდა ემსახურებოდეს მიზანს, ანუ ისინი უნდა იყოს ახსნილი და გაანალიზებული. ნაშრომის პოლოს საჭიროა დაიწეროს თემის ანოტაცია. სასურველია, ნაშრომი რაც შეიძლება კომპაქტურად იყოს წარმოდგენილი და არ ჰყავდეს ერთზე მეტი ავტორი (გარდა, იშვიათი გამონაკლისისა, რაც თემის განსაკუთრებულობით იქნება განპირობებული).

კინო – ფოტო სექცია

მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე კინო-ფოტო სექციის გამოყოფა ხელს შეუწყობს კინო და ფოტოხელოვნების განვითარებას.

- 1) მოსწავლეები გამოგზავნიან ფოტო ნამუშევრებს 18X24 ზომით და თეორიულ მასალას ფოტოხელოვნებასთან დაკავშირებით. მუზათა მოედანზე მოეწყობა ფოტო-გამოფენა;
 - 2) სექციაზე მიიღება ვიდეოფილმები 10 წუთის ხანგრძლივობით. ფილმები შეიძლება იყოს მხატვრული, დოკუმენტური, ანიმაციური;
 - 3) კონფერენციაზე წარმოდგენილი იქნება თეორიული ნამუშევრები: სცენარი,ჩანახატი, კინომოღვაწის პორტრეტი (ქართული, უცხოური), ფილმების განხილვა;
 - 4) კონფერენციაზე მოწვეული იქნებიან ქართული კინოს გამოჩენილი მოღვაწენი, მოეწყობა მათთან შეხვედრა-საუბარი, კონსულტაციები;
 - 5) გამარჯვებული ფილმები წარდგენილ იქნება საერთაშორისო ფესტივალებზე;
- ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე

5 99 56 44 56.

გეოგრაფია-გეოლოგიის სექცია

გეოგრაფიის სექციაზე წარმოდგენილ ნაშრომში, უნდა აისახოს მოსწავლის მიერ ჩატარებული გეოგრაფიული ხასიათის კვლევა, ამ კვლევისათვის დამახასიათებელი მეთოდები და კვლევის ფორმა. მოსწავლემ (მკვლევარმა) განსაკუთრებით ყურადღება უნდა გააძმახვილოს, საკუთარი საცხოვრებელი ადგილის (ქალაქის, რაიონის სოფლის) კომპლექსურ გეოგრაფიულ შესწავლაზე. ნაშრომი უნდა იყოს სუფთა გეოგრაფიული ხასიათის. (გასათვალისწინებელია, რომ თუ მოსწავლე ნაცნობ, მცირე ტერიტორიას შეარჩევს შესასწავლად, მით უფრო კარგ პირობებში აღმოჩნდება კვლევის პროცესში).

- საზღვარგარეთის ქვეყნების შესწავლისას კი ნაშრომი ავტორის პირად შთაბეჭდილებზე უნდა აიგოს.

- კარსტული რეგიონების მოსწავლეთა სპელეოლოგით დაინტერესების შემთხვევაში, ნაშრომში უნდა ჩანდეს მოსწავლის ცოდნა კარსტის (მღვიმის) წარმოშობის, ათვისების, გამოყენების საკითხების შესახებ.(პირადი შთაბეჭდილებების ფონზე).
- მოსახლეობის შესწავლით დაინტერესებული მოსწავლე, უნდა ერკვეოდეს მოსახლეობის მატების, გამრავლების, განსახლების, საქმიანობის, ეროვნული შემადგენლობის და ა. შ. საკითხებში
- მყინვარების შესწავლისას, მოსწავლემ უნდა იცოდეს მყინვარების წარმოშობის პირობები, მათი დადგებითი და უარყოფითი მაჩვენებლები, რეჟიმი, კვება, ფუნქცია როგორც გლობალური დათბობის ინდიკატორის. დამოკიდებულება ბუნების სხვა კომპონენტებთან მიმართებაში და სხვა.
- პიდროქსელის სხვა კომპონენტების (მდინარეების, ტბების, მიწისქვეშა წყლების) შესწავლისას საჭიროა მათი კვების რეჟიმის, საზრდოობის, ხასიათის, გამოყენების და ა.შ. მახასიათებლების შესწავლა მარტივი მეთოდებით, კვლევითი სამუშაოების ჩატარება.
- ატმოსფეროზე დაკვირვებისას, მოსწავლემ ყურადღება უნდა გაამახვილოს, საკვლევი რეგიონის ტემპერატურულ რეჟიმზე, ნალექიანობას, გაბატონენტულ ქარებზე და ა.შ.

გეოლოგით დაინტერესებულ მოსწავლეს, შეუძლია წარმოადგინოს ნაშრომი მშობლიური მხარის (საკვლევი რეგიონის) გეოლოგიური აგებულების შესახებ, (რეგიონში) მხარეში არსებული სასარგებლო წიაღისეულის საბადოების და სხვა მინერალური რესურსების შესახებ.

- რეგიონში არსებული სასარგებლო წიაღის საბადოების აღწერა, მათი ექსპლუატაციის, გამოყენების, პერსპექტივების შესახებ.

ნაშრომში უნდა ჩანდეს, ავტორის მიერ ადგილზე ჩატარებული კვლევის შედეგები, გეოლოგიური მარშრუტის აღწერა. უმჯობესია გეოლოგებთან, გეოლოგიურ სამსახურებთან კავშირი. ნაშრომს უნდა ახლდეს რეგიონის ამგებელი ქანების, წიაღისეულის ნიმუშები (მინერალები) ფოტო და ვიდეო მასალა (ჩატარებული სამუშაოების ამსახველი) ნიმუშებს უნდა ახლდეს მინერალის ზუსტი დასახელების აღების ადგილის, დროის და მკვლევარის ვინაობის მანიშნებელი ეტიკეტი.

- მოსწავლეს უნდა შეეძლოს წარმოდგენილი ნაშრომის თემატიკის გარშემო საუბარი, ჩატარებული სამუშაოების ახსნა და მისი შედარება მაშტაბურ მოვლენებთან.
- ნაშრომი წარმოდგენილი უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე (ქართულად).
- დაქსეროქსებული და ინტერნეტსაიტიდან გადმობეჭდილი ნაშრომი არ შეფასდება.

ტურიზმისა და მთამსვლელობის სექცია

წარმოდგენილი ნაშრომი უნდა ასახავდეს მოსწავლეთა მიერ ჩატარებული ექსკურსიების, ექსპედიციების და ლაშქრობა – მოგზაურობების შთაბეჭდილებებს, მას თან უნდა ახლდეს სვლაგეზის რუკა, ფოტო-მასალა, ჩანახატები და ლაშქრობის ამსახველი ვიდეოფირი.

საქართვალოში ტურიზმის აღორძინებისა და განვითარების მიზნით დამუშავდეს საინტერესო ტურისტული მარშრუტებისა და ობიექტების აღწერილობა, ტურიზმის სხვადასხვა სახეობების გათვალისწინებით. მარშრუტზე არსებულ ღირშესანიშნაობების, ისტორიული და ბუნებრივი ძეგლების წარმოჩენის მიზნით ყურადღება გამახვილებულ იქნას გარემოს ეკოლოგიურ მდგომარეობაზე.

სასურველია, ქართველ და უცხოელ ცნობილ მთასვლელთა, მეკლდეურთა და მოგზაურთა ცხოვრება-მოღვაწეობისა და სპორტული მიღწევების ამსახველი მასალების წარმოჩენა.

ნაშრომებში გამოყენებული ლატერატურული მასალის ან ისტორიული წყაროების გარდა, ნათლად უნდა ჩანდეს მოსწავლის თვითშემოქმედება, ლაშქრობა-მოგზაურობის მიზანი, ხიბლი, ნანახით განცდილი შთაბეჭდილებების გადმოცემის უნარი, საველე პირობებში ცხოვრების და შემხვედრ დაბრკოლებათა გადალახვის წესები.

ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ ტელეფონზე

5 57 50 96 02.

საინჟინრო გრაფიკისა და არქიტექტურის სექცია

მოსწავლემ ნაშრომის თემად შეიძლება შეარჩიოს კომპიუტერული გრაფიკისა და დიზაინის, არქიტექტურული და საინჟინრო ხასიათის საკითხები. შესაძლებელია ერთ თემაში სამივე ხასიათის საკითხი იყოს წარმოდგენილი, მთავარია, რომ განსახილველი საკითხი მოსწავლის აზროვნებაში იყოს გარდაქმნილი და ახალი ინტერაქტაციით წარმოდგენილი.

ნაშრომში თემის დასახელების შემდეგ მოცემული უნდა იყოს მოკლე შინაარსი – ანოტაცია, მოხსანების სრული ტექსტი, ჩართული ნახაზები შესრულებული უნდა იყოს მკაფიოდ, სახაზავი ხალსაწყოების გამოყენებით. იგივე ნახაზები უნდა გაფორმდეს პლაკატების სახითაც, სასურველია არქიტექტურული ნაშრომის გამდიდრება ფოტოსურათებით და სქემების ქსეროასლებითაც.

ურნალისტიკის სექცია

ნაშრომი უნდა ასახავდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებულ თანამედროვე პრობლემატიკას, ურნალისტიკის ისტორიის ამა თუ იმ ეტაპის მოსწავლისეულ ანალიზს, პრესის, რადიოსა და ტელე-ურნალისტიკის აქტულურ საკითხებს.

დასაშვებია საავტორო გადაცემათა პროექტების, ხელნაწერი ურნალ-გაზეთების წარმოდგენაც თანდართული ანოტაციით მუშაობის პროცესის შესახებ.

ნაშრომის შესრულება შეიძლება ნაბისმიერ ურნალისტიკურ ჟანრში – ინტერვიუ, რეპორტაჟი, კორესპონდენცია, რეცენზია და ა. შ. მთავარია, იგი შეიცავდეს საკუთრივ მოსწავლისეულ ანალიზს, მკაფიოდ გამოხატულ პოზიციას, იყოს აქტუალური და დაკვირვების (ჩატარებული მუშაობის) ანალიზის საფუძველზე იძლეოდეს პრობლემების დაძლევის პერსპექტივას.

ხელოვნებათმცოდნეობის სექცია

მოსწავლეს შეუძლია თემად შეარჩიოს ქართულ ხელოვნებაში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენები. (ახალი საექტაკლები, საგამოფენო დარბაზების გახსნა და სხვა); თეატრალური წარმოდგენების ცალკეულ სახე-პერსონაჟთა დახასიათება – ანალიზი; ქართული ხალხური სიმღერების, თანამედროვე და სამეჯლისო ცეკვების განხილვა-შეფასება. მსოფლიო და ქართული ხუროთმოძღვრების, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ისტორიის(ცალკეულ ნიმუშებთან, მხატვრის შემოქმედებასთან, კულტურულ მემკვიდრეობასთან თუ მოვლენასთან,ძეგლთა დაცვის პრობლემასტიკასთან და თანამედროვე ნამუშევრებთან დაკავშირებული)საკითხები; ასევე, გამოაგზავნოს საკუთარი(ან სხვა) ქალაქის,რაიონის,სოფლის დირშესანიშნავი ძეგლების და ხელოვანთა შესახებ. სასურველია თხზულებაში მკაფიოდ ჩანდეს

ავტორის დამოკიდებულება განხილული საკითხისადმი და ახლდეს თემატიკის შესატყვევისი თვალსაჩინოება. სექცია არ განიხილავს მხოლოდ ფერწერულ ნამუშევრებს, ხელსაქმის ნიმუშებს და გამოყენებითი ხელოვნების ნაკეთობებს, თუ მათ არ ახლავთ სათანადო ანალიზი და განხილვა.

ასტრონომიის სექცია

სექციაზე წარმოდგენილი ნაშრომი ნებისმიერ ასტრონომიულ საკითხს შეიძლება შეიცავდეს:

- ასტრონომიულის მეცნიერების შესწავლა-განვითარების პრინციპები და პერსპექტივები, საჭიროება და პრაქტიკული მნიშვნელობა, თანამედროვე მიღწევები, მეცნიერული კვლევის შედეგები, ახალი აღმოჩენები და ა. შ. რეფერატული ხასიათის ნაშრომს ღირებულებას ანიჭებს განსახილველი საკითხისადმი შემოქმედებითი მიღგომა და ორიგინალური მსჯელობა, გამორჩეული ყურადღება მიექცევა პრაქტიკული ხასიათის ნაშრომს, რომელიც ასახავს მოსწავლის მიერ ჩატარებულ მარტივ ასტრონომიულ ცდას თუ დაკვირვებას, მიღებული შედეგის ანალიზს.

რადიოტექნიკის სექცია

წარმოდგენილი ნაშრომები:

- ტელეფონი, ტელეგრაფი, რადიო, ტელეხედვა – მათი განვითარების პრინციპები და პერსპექტივები, მნიშვნელობა-დანიშნულება, სიახლეები, გამოყენების სფეროს გაფართოება, ტექნიკის მიღწევები და ა. შ.

წარმოდგენილ თემას თან უნდა ერთვოდეს აღწერილ დანადგართა ბლობ-სქემები, თვალსაჩინო ნაგებობებს და თვითნაკეთ ხელსაწყოებს კი- აღწერილობა და პრინციპიალური სქემები.

სასტაციო-შემოქმედებითი კონფერენცია

ქალაქი (რაიონი) _____

_____ სექტია სულ _____ თებე

| გვარი, სახელი მამის სახელი | აკრძალ ული | ქვეყნი | თემის დასახელება | თემის ხელმძღვანელი | აღნიშვნა |
|-------------------------------|---------------|--------|---------------------|-----------------------|----------|
| | | | | | |

საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის

დირექტორი: _____

რესურსცენტრის ხელმძღვანელი: _____

(ბეჭედი)